ფრეს დასჯერდნენ

თბილისი. ვ. ი. ლენინის სახელობის "დინამოს" სტადიონი. 24 აგვისტო.

"დინამო" (თბილისი) - ფახთაქორი (ტაშკენტი) 1:1 (0:1).

"დინამო": აბუსერიძე, ჟიბა, ჩივაძე, პაიკიძე, ჯოხაძე, კაკილაშვილი, სვანაძე (გურული), სულაქველიძე, გუცაევი, ცაავა (ჩქარეული), შენგელია.

"ფახთაქორი": იანოვსკი, იაკიმცოვი, ბელიალოვი, ჟურავლიოვი, დენისოვი, ისლამოვი, ბონდარენკო, იაკუბიკი (ამრიევი), ახმედოვი, შკვირინი, კაბაევი.

მსაჯი: ა. ხორლინი (მოსკოვი).

გააფრთხილეს: ჯოხაძე.

დუბლიორები: - 1:0. გოლი გაიტანა გურულმა.

ამ მატჩს პრინციპულს ვერ დაარქმევ კაცი, მაგრამ ისევე როგორც ნებისმიერ შეხვედრას, მასაც ჰქონდა გარკვეული მნიშვნელობა. ვგულისხმობ სატურნირო მდგომარეობასაც და წმინდა საფეხბურთო პრობლემებსაც.

ბოლო ხანს ჩატარებულ ზოგიერთ მატჩში "დინამომ" შეძლო საკმაოდ სოლიდური თამაში, დანარჩენებში - პირიქით, გუნდი ერთობ უსუსურად გამოიყურებოდა. საინტერესოა, რომ ეგრეთ წოდებული ცუდი მატჩები ცუდ სათამაშო პირობებზე მოდის. სადაც კი დიდი სიცხე, მძიმე მინდორი გადაეღობათ თბილისელებს, ტექნიკამაც, ტაქტიკურმა აზროვნებამაც შესამჩნევად იკლო. შეიძლება ამ ფაქტსა და მისგან გამომდინარე დასკვნებს კანონზომიერების პრეტენზია არ ჰქონდეთ, მაგრამ გინდა თუ არ გინდა, უთუოდ გაფიქრებინებს, რომ გუნდს სწორედ მაშინ უჭირს მეტოქისთვის თავისი თამაშის მოხვევა, როცა განსაკუთრებით საჭიროა ფიზიკური და ფსიქოლოგიური ძალების მოხმობა.

ეს ერთი და, მეორეც: მთელი პირველი ტაიმის განმავლობაში, სიტუაციაში, როცა მასპინძლები აშკარად არასწორ ტაქტიკას ადგნენ - წვრილ–წვრილი, ხშირი გადაცემებით ცდილობდნენ "ფახთაქორის" კარისკენ გზის გაკვლევას - გუნდში ვერ მოიძებნა ფეხბურთელი, რომელიც სხვაგვარ დინებას მისცემდა თბილისელთა იერიშებს. სამწუხაროდ, თავის შესაძლებლობებზე გაცილებით სუსტად ჩაატარა მატჩი თბილისელთა ცენტრალურმა თავდამსხმელმა ცაავამ, რომელზეც უნდა გასულიყო თამაშის ტაქტიკური მხარის მთელი სიმძიმე.

შეხვედრის მეორე ნახევარში მდგომარეობა შედარებით გამოსწორდა, მასპინძელთა იერიშებს მეტი აზრი და მიზანსწრაფულობა დაეტყო, მაგრამ გუნდს მაინც არ ეყო საიმისო ძალა, რომ მატჩის ბოლომდე ებრძოლა თავგამოდებით და მხოლოდ ფრეს დასჯერდა. თუმცა, მოსკოველ არბიტრს ა. ზორლინს მეტი ყურადღება რომ გამოეჩინა, უთუოდ შეამჩნევდა უკანასკნელ წუთზე სტუმართა მცველების მიერ საფეხბურთო წესების დარღვევას და შედეგიც შეიძლება სხვაგვარი ყოფილიყო.

როგორც ზემოთ ითქვა, პირველ ტაიმში მასპინძელთა იერიშები "ფახთაქორის" საჯარიმოს მისასვლელებთან წყდებოდა. სულაქველიძემ და ცაავამ სცადეს შორიდან აეღოთ სტუმართა კარი - დარტყმები არაზუსტი გამოდგა, ცაავა-გუცაევი-კაკილაშვილის მიერ გათამაშებული ერთადერთი საღი კომბინაციაც უშედეგოდ დასრულდა. მე-40 წუთზე თბილისელთა კართან კუთხურიდან მოწოდებულ ბურთს ზუსტი მისამართი მოუძებნა შკვირინმა - 1:0.

53-ე წუთი. გუცაევი ატყუებს ორ მცველს და ძლიერად ურტყამს. რამდენიმე წუთის განმავლობაში სულაქველიძის და პაიკიძის დარტყმული ბურთები ხან ოდნავ სცდება კარს, ხან მცველთა თავგანწირული იერიშის წყალობით უბრუნდება კარს. 69-ე წუთზე კარგად თამაშობს აბუსერიძე. ახალგაზრდა მეკარემ როგორც წინა, ისე ეს მატჩიც ურიგოდ არ ითამაშა. 83-ე წუთზე კაკილაშვილი ცრუ მოძრაობით ატყუებს მეტოქეს და საკმაო მანძილიდან ძლიერად ურტყამს - 1:1.

ი. ბერიაშვილი
"ლელო", 27 აგვისტო, 1983 წ.